სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-181

31.10.2024

ბრძანება

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის ოქმი N2ის დადგენილება N1-ის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში მწვრთნელთა ფაკულტეტის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით, **2024 წლის 28 ნოემბერს დაინიშნოს აკადემიური საბჭოს არჩევნები ერთ ვაკანტურ ადგილზე მწვრთნელთა ფაკულტეტიდან.**
2. აკადემური საბჭოს წევრთა არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 28 ნოემბერს 10:00 საათიდან 17:00 საათამდე **მისამართზე ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. 4 ა მე-3 სართული, ოთახი 50.**

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

3. კადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი მწვრთნელთა ფაკულტეტიდან.
4. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურში, **2024 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით- მისამართზე ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ. 4 ა მე-3 სართული ოთახი N50.**
5. განცხადებასთან ერთად სავალდებულოა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   ბ)ავტობიოგრაფია(cv);
   გ) 2 ფოტო სურათი (3X4);
   დ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
   ე) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.
6. „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ საარჩევნო კომისიას დაევალოს აღნიშნული არჩევნების მომზადება - ჩატარება.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერზე.
8. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ N6)

უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი

ტრისტან გულბიანი